ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:ბ28. 28261182
თარიღი:28/04/2026

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისათვის უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის, ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,დ“ პუნქტის, ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 მუხლის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების და ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2026 წლის 01 აპრილის Nგ-29. 2926091001 განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1. გამოცხადდეს უპირობო ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

ინფორმაცია, დანართი № 2-ის, № 3-ის, № 4-ის, № 5-ის, № 6-ის, № 7-ის, № 8-ის, № 9-ის, № 10-ის, № 11-ის, № 12-ის, № 13-ის და № 14-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს და ინფორმაცია განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge-ზე.

მუხლი. 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 22 აპრილის ბ28. 2826112001 ბრძანება;

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი